N133/19
02.03.17

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 მაისის №300/5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ 2016 წლის 24 თებერვალს კომისიას ერთობლივი განცხადებით მიმართა შპს ”სამაუწყებლო სახლმა” (ს/ნ: 412688355) და შპს „რადიომ“ (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/1899-17) და წარმოადგინეს კომპანიებს შორის 2017 წლის 23 თებერვალს გაფორმებული შეთანხმება, რომლის თანახმად ვადა უგრძელდება №B160, №B161, №B98 და №B144 ლიცენზიების დროებით გადაცემის თაობაზე მხარეებს შორის 2016 წლის 17 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულებას ერთი წლის ვადით.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს ”სამაუწყებლო სახლი” ფლობდა კერძო რადიომაუწყებლობის №B60, №B61, №B98 და №B144 ლიცენზიებს, რომლებიც დროებით სარგებლობაში (2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით) გადაეცა შპს „რადიოს“. აღნიშნული განხორციელდა ლიცენზიების გადაცემაზე კომისიის 2016 წლის 11 მაისის №300/5 თანხმობის გადაწყვეტილებისა და კომპანიებს შორის 2016 წლის 17 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე.

კომისია აღნიშნავს, რომ:

1. კერძო რადიომაუწყებლობის **№B161** ლიცენზიას კომისიის 2014 წლის 20 მარტის №153/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული აქვს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 20 მარტამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	**სიხშირე (მჰც)**	**მოდულაცია**	**პოლარიზაცია V / H**	**გასხივება**	**გადამცემის სიმძლავრე (ვტ)**	**გეოგრაფიული კოორდინატები**	**ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)**	**ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)**
ქ. ბათუმი სატელევიზიო ანძა	90.1	FM	V	წრიული	500	41°41'37"N 41°42'55"E	35	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

2. კერძო რადიომაუწყებლობის **№B160** ლიცენზიას კომისიის 2014 წლის 20 მარტის №154/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული აქვს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 20 მარტამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ქუთაისი სატელევიზიო ანძა	98.1	FM	V	წრიული	1000	42°16'49"N 42°44'11"E	70	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

3. კერძო რადიომაუწყებლობის **№B144** ლიცენზიას კომისიის 2013 წლის 15 მაისის №326/1, 11 ივლისის №439/5 გადაწყვეტილებების და 2013 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების თანახმად, განსაზღვრული აქვს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (მუსიკალური) მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2023 წლის 15 მაისამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ახმეტა	103.1	FM	V	წრიული	750	42°4'12"N 45°24'18"E	20	5

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

4. კერძო რადიომაუწყებლობის **№B98** ლიცენზიას კომისიის 2008 წლის 28 მარტის №160/1, 2013 წლის 11 ივლისის №439/5 გადაწყვეტილებების და 2013 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული აქვს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (მუსიკალური) მაუწყებლობა;
დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;
ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი სატელევიზიო ანძა	99.3	FM	V	წრიული	1000	41°41'44"N 44°47'05"E	80	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "რადიოს" დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე დავით კორახაშვილი (პ/ნ 01010009092).

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად თითო მომსახურების ზონაში ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო არხს და 1 საერთო საეთერო რადიოარხს.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "რადიო", ან მისი დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი საქართველოს მოქალაქე დავით კორახაშვილი (პ/ნ 01010009092) არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ავტორიზაციას.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის მიერ გადამოწმდა დავით კორახაშვილის (პ/ნ 01010009092) მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ვებ-გვერდზე www.declaration.gov.ge. გადამოწმების შედეგად ფიზიკური პირის დავით კორახაშვილის მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია მითითებულ ვებ-გვერდზე არ იძებნება. ასევე დავით კორახაშვილის მონაცემები გადამოწმდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge. გადამოწმების შედეგად ზემოაღნიშნული ფიზიკური პირის მონაცემები მითითებულ ვებ-გვერდზე არ იძებნება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 2 მარტს გამართულ კომისიის სხდომას ესწრებოდნენ შპს "რადიოს" წარმომადგენელი სიმონ ძნელაძე და შპს "სამაუწყებლო სახლის" წარმომადგენელი გიორგი უშიკიშვილი.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან კომპანიებს შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული დამატებითი შეთანხმება ითვალისწინებს ლიცენზიების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებას, მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება კომისიის 2016 წლის 11 მაისის №300/5 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველ პუნქტში მითითებული თარიღი შეიცვალოს 2018 წლის 28 თებერვლით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2016 წლის 11 მაისის №300/5 გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მიეცეს თანხმობა შპს "სამაუწყებლო სახლს" მის მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №B160, №B161, №B98 და №B144 ლიცენზიების შპს "რადიოსთვის" დროებით 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გადაცემაზე;"

2. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (მ. ქადეიშვილი);

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს "რადიოსთვის" და შპს "სამაუწყებლო სახლისთვის" გაგზავნა (ი. ხარებავა);

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი სარეზოლუციო ნაწილის კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე